კრიმინალის გაშუქება ქართულ პრესაში

ნატა კვირჩილაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისმეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია: პრაქტიკა,კვლევა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით პაიჭაძე(სრული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2015

,,როგორც წარდგენილი სადრსეტაციო ნაშრომის ავტორი,ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავ სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ ,გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამსად“

აბსტრაქტი

სამაგისტრონაშრომი,,კრიმინალის გაშუქება ქართულ პრესაში'' ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული კრიმინალურიპუბლიკაციების მონიტორინგს ასახავს. ნაშრომის მიზანია, გავარკვით როგორ ხდება კრიმინალის გაშუქება ქართულ პრესაში. რა ძირითადი პრობლემები და სირთულეები არსებობს კრიმინალის გაშუქებისას და როგორია მათი გადაჭრის გზები.

ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა ის ძირითადი თემები რაზეც კვლევის განმავლობაში ხდებოდა ყურადღების გამახვილება. ასევე, კვლევაში გამოკვეთა ის თავისებურებები რომელსაც ყველაზე ხშირად იყენებენ ჟურანლისტები სტატიის წერისას. მოხდა სიძულვილის ენის იდენტიფიცირება. კვლევისას ყურადრება გავამახვილეთ იყო თუ არა ჟურნალისტი მიუკერძოებელი ფაქტების თხრობისას ან აღწერისას. ასევე, ვიკვლიეთ ახდენდა თუ არა ჟურნალისტი წყაროს მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის შემოწმებას .

კრიმინალური შინაარსის სტატიების კვლევა შედეგ ქართული გაზეთებში ,,ალია'' ,,ახალი თაობა'' ,,რეზონანსი'' და ,,კვირის პალიტრა'' განვახორცილეთ. კვლევის მეთოდადად თვისებრივი კვლევა შევარჩიეთ. კვლევის ეს მეთოდი საკვლევი საკითხის სიღრმისეულ შესწავლას ითვალისწინებს და აადვილებს საკვლევად საინტერესო საკითხების გამოყოფას.

კვლევის შედეგები არის ერთგვარი სურათი იმისა თუ როგორ წერენ ჟურნალისტები სტატიებს კრიმიანლის შესახებ. კრიმინალურ სტატიაზე მუშაობის რა სპეციფიკა არის ბეჭდურ მედიაში და როგორ გამოვლინდება თითოეულ გაზეთში. შედეგების გაანალიზება ჟურნალისტებს და რედაქტორებს მისცემს საშუალებას დაინახონ რეალური სურათი კრიმინალური შინაარსის სტატიების დაწერის თავისებურებებსზე.

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას , იგი შესავლის ,ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან შედგება. შესავალი კი თავის მხრივ მედიის მედიის ფუნქციებისა და ჟურნალისტური პრინციპების განხილვისგან შედგება, ძირითად ნაწილში განხილულია თუ როგორია კრიმინალის გაშუქების წესები და რა არის კვლევის მიზანი. დასკვნით ნაწილში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია და შეჯამებულია კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები

ძირითადი საძიებო სიტყვები: კრიმინალი, სამართალი ,მედია სტანდარტი ,ჟურანალისტური ეთიკა, სიძულვილის ენა, მიკერძოება, ინფრომაციის წყარო